პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
შაბათი
10
დეკემბერი
№ 287
(17027)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთწლედის მოწინავენი

ამახწინათ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივმა ფოლადის მაგისტრალებზე გააცილა დაზოგილი მასალებით აგებული ახალი ლოკომოტივი. „ომათ შორის, ვინც სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია, სამართლიანად ახახელებენ ელექტროკოს გოდერძი ხორგუაშვილს.

ამ შემოქმედებითი აზრით დაჯილდოებულმა ადამიანმა წარმოებაში დანერგა ბევრი ძვირფასი სიახლე. წელს მის ანგარიშზეა ორი ახალი რაციონალიზატორული წინადადება. სურათზე: თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მეთაური საწარმოს მოწინავე ელექტროკოსი გოდერძი ხორგუაშვილი.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვალდებულებანი და ჰრესა

ამას წინათ ვოლოგდის გაზეთმა „კრასნი სევერმა“ გამოაქვეყნა შორიგი ეკონომიკური მიმოხილვა და შეჯიბრების მიმდინარეობის ამსახველი მასალები. ოლქის საწარმოთა შრომითი კოლექტივების უმრავლესობამ პირნათლად შეასრულა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, კარგი მაჩვენებლებით ამთავრებს წელს. მაგრამ არიან ჩამორჩენილებიც, მათ შორის, მაგალითად, გაერთიანება „პროგრესის“ № 1 ავეჯის ფაბრიკა. მდგომარეობის გამოსწორება, როგორც მისი დირექტორი იმედოვნებს, მხოლოდ გეგმის „კორექტირებას“ შეუძლია. გაზეთმა კი დასაბუთებულად და ფაქტებით დაამტკიცა: გეგმის ვერავითარი მანიპულაცია ვერ შეცვლის წარმოების ზუსტ, ეფექტან ორგანიზაციას, კვალიფიციურ მართვას, რეზერვების მტკიცე ძიებას. ფაბრიკაში კი სწორედ ეს არ არის.

საკითხი სწორად, პრინციპულად დაისვა, ახლა, წლის ფინიშზე საჭიროა უდიდესი მომთხოვნელობით გავაანალიზოთ პრესაში მისი წინასწარი შედეგები, მამობილიზებელი დასკვნები. გამოვიტანოთ მომავლისათვის. და ეს მუშაობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ ხელი შევუწყოთ სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას, გეგზელიანობის, ორგანიზებულობის გაძლიერებას, ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებას.

ჩვენი პრესის, ტელევიზიისა და რადიოს, საინფორმაციო სააგენტოების განკარგულებაშია გამოსვლების შინაარსისა და ქმედითობის აქტუალობის გადიდების საყურადღებო გამოცდილება, რომელიც შეძენილია დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადების, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მსჯელობისა განხილვის დროს. ისინი მჭიდროდ უკავშირდებოდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ადამიანთა მაღალი შეგნების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვის საჭირბოროტო ამოცანების გადაწყვეტას. ამან საშუალება მოგვცა უკეთ დაგვენახა მეურნეობრიობის პრაქტიკის, მართვის ყველა რგოლის მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, დასაბამი მისცა უამრავ ნამდვილად ნოვატორულ ინიციატივას და გაამწვავა არაორგანიზებულობის, ბიუროკრატიზმის გამოვლინებისა და სხვა ნაკლოვანებებისადმი ჩვენი შეურიგებლობის გრძნობა.

საბჭოთა ადამიანების გაზრდილი შემოქმედებითი ინიციატივა, შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა, თქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, კი არ უნდა სუსტდებოდეს, პირიქით კიდევ უფრო ვითარდებოდეს, ჩვენი ხალხთა-სახალხო სახელმწიფოს საქმეებში მოქალაქეთა სულ უფრო ფართოდ მონაწილეობის კონკრეტულ ფორმებს იღებდეს. უალრესად პირდაპირ და უშუალოდ ვლინდება ეს მონაწილეობა შრომითი კოლექტივების ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში. კოლექტივი ხომ არსებითად ჩვენი არა მარტო სამეურნეო, არამედ სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზმის პირველადი უჯრედია.

ПРАВДА 9 დეკემბრის მოწინავე

შეჯიბრების გაზრდილ როლს, მასების ინიციატივას ეძღვნება დღეს პრესის ბევრი პუბლიკაცია. ისინი გამსჭვალულია იმაზე ზრუნვით, რომ დამკვიდრდეს საიუბილეო შრომათს ვატაზე მიღწეული წარმატებანი, უთუოდ შესრულდეს მომდინარე წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. ამას ხელს უწყობს საგნობრივი, მიზანმიმართული და ობიექტური ინფორმირება იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ ასრულებს სიტყვას, საქმით იბრძვის თუ არა მუშაობის ეფექტანობისა და ხარისხისათვის. საკმარისი არ არის მისი საბოლოო შედეგების მარტოოდენ აღნიშნვნა, რასაც ხშირად სჯერდებიან ზოგიერთი გამოსვლის ავტორები. მთავარია გავერკვეთ, როგორ და რა პირობებშია მიღწეული ეს თუ ის მაჩვენებელი, რა კეთდება წარმოების შინაგანი რეზერვების გამოყენებისათვის, შრომისა და მართვის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეათე ხუთწლედში დასახული შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით უზრუნველყოფა ხამრეწველო პროდუქციის მატების დაახლოებით 90 პროცენტი, პროდუქციის მოელი მატება სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში.

გეგმა-ვალდებულებათა შესრულების მარჯვედ დაყენებული საჯარო შემოწმება კარგი საშუალებაა ყოველნაირ უპირათა და იმათ წინააღმდეგ, ვისაც უყვარს ამოფფარის ხოლმე „საშუალო ციფრებს“, ესე იგი სხვების ზურგს, იმათ წინააღმდეგ, ვინც ოლად არღვევს საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინას ან „ახალი“ პროდუქციის სახით განაგრძობს მოძველებული ნაწარმის გამოშვებას. ვაკონტროლებდეთ ვალდებულებათა შესრულებას, იმახ ნიშნავს, რომ საერთო კუთვნილება გავხადოთ საუკეთესოთა გამოცდილება და დავეხმაროთ შეჯიბრების მონაწილეებს უფრო შეუპოვრად იბრძოლონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებისათვის, სამუშაო დროის ყოველი წუთის რაციონალური გამოყენებისათვის.

ფართო და მრავალფეროვანია შეჯიბრების მიმდინარეობაზე პრესის ზემოქმედების პუბლიცისტურ საშუალებათა არსენალი, პარტიულ ორგანიზაციათა მხარდაჭერაზე დაყრდნობით პრესა მასობრივ დათვალიერებათა და რეიდ-შემოწმებათა ინიციატორად გამოდის, შეფობას უწევს ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე. ეგი სიტყვას აძლევს შრომითი შეჯიბრების მონაწილეებს, პირისპირ „აყენებს“ გაზეთში თუ ტელეეკრანზე მოწინავეებსა და ჩამორჩენილებს, მაგრამ უნდა შეგახსენოთ, რომ შეიძლება ბევრი ვწეროთ შეჯიბრებაზე და ამავე დროს სუსტად. არსებითად ზერელედ გავაშუქოთ მისი პრობლემები. თითქმის სრულებით ვერ ვხედავთ ამ პრობლემების ღრმა ეკონომიკურ ანალიზს, მაგალითად, ტალინის საქალაქო გაერთიანებულ გაზეთ „იხტულეტსტში“. და საერთოდ რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა გაზეთშიც არ იგრძნობა გაანრებული ხაზი და მომთხოვნელობა წლის ფინიშზე შეჯიბრების გაშუქებაში.

სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები შეგვიძლია თავისებურ სახინკ ქვად მივიჩნიოთ სარედაქციო კოლეგიებისათვის. რადგან ამ შემთხვევაში მოწმდება არა ნარტო იმათი მუშაობა, ვისი თაოსნობაც დამპრებანი და შემხვედრი გეგმები პრესამ თავის დროზე ჯეროვნად შეაფასა, არამედ მოწმდება თვით პრესის მუშაობაც — მახი თანამიმდევრულობა, პრინციპულობა, კომპეტენტურობა, საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი.

რაც უფრო ზუსტი და საჭირბოროტო გამოსვლები, შედეგიანია კრიტიკა, მაღალია პრესის როლი შეჯიბრების ორგანიზაციის სრულყოფაში, მით უფრო ყურადღებით ეკიდებიან პარტიული კომიტეტები თავიანთი ბეჭდვითი ორგანოების მუშაობას ამ ნიხარეს. ამას წინათ საოლქო გაზეთმა „სოვეტსკაია სიბირმა“ რუბრიკით „პასუხს ვთხოვთ იმათ, ვინც დუმს“, სცადა შეერცხვინა მთელ რიგ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც დიდხანს არ გამოხმაურებიან მის კრიტიკას. ჩვენი აზრით, გაზეთის სიტყვაც უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, უფრო მკაცრი პარტიული მომთხოვნელობით რომ მოჰკიდებოდნენ მათ.

სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების საქმიანი, მომთხოვნი და კონსტრუქციული შემოწმება ხუთწლედის ახალი, მეხამე წლის დიდი და რთული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისათვის შეჯიბრების მონაწილეთა მოპზადების დიდმნიშვნელოვანი რგოლია.

მიფრინავს „კოსმოს-965“

1977 წლის 8 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-965“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო გამოთვლითი ცენტრი ამოუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

დეკემბრის ყოველი დღე—მხოლოდ დამკვრელური!

საიუბილეო წლის ფინიშზე — შეჯიბრების ახალი აღმავლობა!

ოსტატის მაგალითი

ახალგაზრდობის დამრიგებელი

□

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მოწინავე ფაქიზმა ვენერა წიკლაურმა შეასრულა ორწლინახევრის დავალება. ხუთწლედის დამდეგიდან მან **გეგმის გადამეტებით გამოუშვა 60 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი, რითაც წარმატებით გაანაღდა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება.**

მაღალი პროფესიული ოსტატობა, დიდი გამოცდილება დაეხმარა ვენერა წიკლაურს დარგში ერთ-ერთი პირველი გადასულიყო თვრამეტი პნევმატური უმაქოო დაზგის მომსახურებაზე, რაც ნორმაზე მეტია. ვენერა წიკლაური დროს ზოგავს ცალკეულ ოპერაციებზე. მაგალითად, ძაფის გადაბმისათვის მას ათი წამით ნაკლები სჭირდება, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული. მან შეიმუშავა დაზგების მომსახურების ოპტიმალური მარშრუტი.

წიკლაურის მაგალითისამებრ ახლა მომსახურების გაფართოებულ ზონაზე გადავიდა გაერთიანების ათობით ფაქიზი.

ვენერა ახალგაზრდობის გამოცდილი დამრიგებელია. მუშაობის თხუთმეტი წლის მანძილზე მან ცხოვრების საგზაური მისცა ბევრ ფაქიზს, რომლებიც ახლა ტოლს არ უდებენ მას.

— ვენერა და ბევრი მისი ამხანაგი, — ამბობს საფეიქრო წარმოების უფროსი თ. მიქელაძე, — გაეცნენ ჩვენი ქვეყნის მსუბუქი მრეწველობის მოწინავეთა გამოცდილებას და მწყობრი, შეხმატკბილებული მუშაობით დიდად დაეხმარნენ გაერთიანებას თერთმეტ თვეში გეგმის გადაჭარბებით გამოეშვა 250 ათასი მეტრი ქსოვილი.

რ. მეგრელიშვილი.

შეჯიბრების ღღიური

შრომის ნაყოფიერების გადიდებით

მეშახტეთა წარმატება

რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა ვადაზე 22 დღით ადრე უპატაჟა სამშობლოს ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმის შესრულება.

წელს მეშახტეებმა მოანგრიეს 600 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი, მათ შორის 40 ათას ტონაზე მეტი გეგმის გადამეტებით. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. დაზოგილია 100 ათას მანეთზე მეტი.

შახტის კოლექტივმა გადაწყვიტა ხუთწლედის სამი წლის გეგმა შეასრულოს სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის. (საქინფორმი).

დამზადება გრძელდება

მიმდინარე წლის 6 დეკემბერს რესპუბლიკაში შესრულდა ეთერზეთოვანი ნედლეულის დამზადების წლიური გეგმა. ნაკისრად გათვალისწინებული 27.000 ტონისა 8 დეკემბრისათვის დამზადებული იყო 27.550 ტონა.

სახელმწიფო დავალების წარმატებით შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ქვების მრეწველობის სამინისტროს „საქეთერზეთმრეწვის“ გაერთიანების კოლექტივმა. მან დაგეგმილი 17.400 ტონის ნაცვლად ამაკე თარიღისათვის დაამზადა და გადაამეშვა 22.400 ტონა ეთერზეთოვანი ნედლეული.

ეთერზეთოვანი ნედლეულის დამზადებას საქმეში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს გულრიფშის, გალის, ლაგოდეხის, ყვარლისა და მარნეულის რაიონებმა.

ეთერზეთოვანი ნედლეულის დამზადება გრძელდება.

რ. ჯაოშვილი.

„საქეთერზეთმრეწვის“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

შრომის დიდი შეფასება

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ახალი ხუთწლედის მეორე წელს განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს ზუგდიდის რაიონის ჩაის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც წლიური გეგმით გათვალისწინებული მიღებული ნედლეული დროზე და ხარისხოვნად გადაამუშავეს. ზუგდიდელმა ჩაის მრეწველებმა პირნათლად გაანაღდეს აღებული სოციალისტური ვალდებულებანი. ახალი ტექნიკის დანერგვის, ტექნოლოგიური პროცესების ზუსტი დაცვის, დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებისა და სხვა ღონისძიებების შედეგად ჩაის ფაბრიკების ზუგდიდის საწარმოო გაერთიანებამ დიდ წარმატებას მიაღწია. საკმარისია თქვას, რომ მარტო ხარისხის გაუმჯობესებით მიღებულმა მოგებამ მილიონ 347 ათას მანეთს გადააჭარბა.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ზუგდიდის საწარმოო გაერთიანების მუშაკებს მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიეკუთვნათ.

იკისრეს და შეასრულეს

ბორჯომის წისქვილკომბინატის კოლექტივმა 27 ნოემბრისათვის შეასრულა საიუბილეო წლის სახელმწიფო გეგმა, რითაც პირნათლად გაანაღდა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების ძირითადი მოზლი.

წლის ბოლომდე დარჩენილ დღეებში წისქვილკომბინატელების მტკიცე გადაწყვეტილებაა სახელმწიფოს დამატებით მისცეს 725 ათასი მანეთის პროდუქცია.

ეს რედაქციას აცნობეს კომბინატის დირექტორმა ტალახაძემ, პარტორგანიზაციის მდივანმა შარიქაძემ და პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ გეგელაშვილმა.

ხულ ოთხი წელია, რაც თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოში მუშაობს ფაქიზი მაყვალა ნებიერიძე.

დიდი ოქტომბრის სამოცი წლისთავის დღესასწაულის წინ კომუნისტური შრომის დამკვრელმა ფაქიზმა მაყვალა ნებიერიძემ სამშობლოს უპატაჟა მეათე ხუთწლედის ორი წლის გეგმის შესრულება.

სურათზე: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს მოწინავე ფაქიზი, კომუნისტური შრომის დამკვრელი მაყვალა ნებიერიძე.

ს. მდივანრაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სოფლის მშრომელთა ნობათები

ნარინჯების გარაჟა

● ლანჩხუთის რაიონის მშრომელებმა სიტყვა საქმედ აქციეს. ნაცვლად ვალდებულებით საკისრი 3.000 ტონისა ვადამდე — 7 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 3.832 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ჩოჩხათის, მამათის, ლესის კოლმეურნეობები, ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა.

სახელმწიფოსათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის მიყიდვა გრძელდება — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. მენაბდემ, სახალხო დეპუტატთა ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ებრალიძემ. სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. მანანაშვილმა.

● ფოთი. (საკ. კორ.). ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი გრ. არჩაია). მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის მეორე წლის ვეგმისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის. გეგმით ფოთელ მეციტრუსეებს უნდა მიეკრიფაროთ 146 ტონა „ოქროს ნაყოფი“, ვალდებულებით 240 ტონა. უკვე მოკრიფეს 270 ტონაზე მეტი ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ნაყოფი, რაც ნაკისრ ვალდებულებას 30 ტონით აჭარბობს.

ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა გრძელდება.

სიტყვა—საქმედ

გულრიფშელ მეცხოველეთა წარმატება

საიუბილეო წლის გეგმისა და ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გულრიფშის რაიონის მეცხოველეებმა მნიშვნელოვანი შრომითი გამარჯვებები მოიპოვეს. რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ფერმებში აწარმოეს 16.003 ცენტნერი რძე, რაც 63 ცენტნერით აღემატება სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრ რაოდენობას.

გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ვალდებულება, დამზადებულია 12.919 ცენტნერი რძე. ვალდებულება შესრულებულია 101,2 პროცენტით. გიზარდა წველადობა, თითოეულ საფურაქი ძროხაზე და მიღებულია 1.130 კილოგრამი, რაც 120 კილოგრამით აღემატება გასული წლის შესაბამისი ფიგურის მაჩვენებელს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს გულრიფშის სახელმწიფო სანაშენე მეურნეობის, მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის, ბარათაშვილის და კიროვის სახელობის კოლმეურნეობების მეცხოველეებმა.

ი. გოგეჩია.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მესიმინდეთა წარმატება

ბაღლის რაიონის მესიმინდეებმა, რომლებიც ებრძვიან სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისთვის, თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს საიუბილეო წელს. **მათ გეგმით გათვალისწინებული 2.950 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.015 ტონა სიმინდის მარცვალი.**

მოსახლეთა წვლილი

— **მეცხოველეობის** მეტი პროდუქტი სამშობლოს, — ასეთია აბაშის რაიონის მშრომელთა საბრძოლო დევიზი.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის რაიონული დავალების შესრულებაში დიდი წვლილი შეაქეს მოსახლეობას.

სოფელ სამეიაოს მცხოვრებმა ი. ჯანგველაძემ სახელმწიფოს მიჰყიდა 320 კილოგრამი საქონლის ხორცი, ნორიოელმა გ. თოფურიამ — 746 კილოგრამი საქონლის ხორცი, სოფელ მარნის მცხოვრებმა ტ. პიტავამ — 243 კილოგრამი ღორის ხორცი, ქოლობნელმა მ. ფიფიამ — 252 კილოგრამი ღორის ხორცი, და ზანათელმა გ. კუციამ — 720 კილოგრამი ღორის ხორცი.

ასევე დიდი რაოდენობით მიჰყიდეს ხაქონლის ხორცი სახელმწიფოს საკარმიდამოდან სუჯუნის, სეფეთის და სხვა სოფლების მცხოვრებლებმა.

ივ. თოფურია,

გაზეთ „განახლებული აბაშის“ რედაქტორის მოადგილე.

ვალდებულებები შესრულებულია

სარეკერე. (საქინფორმი). სოფელ სხვიტორის კოლმეურნეობის მშრომელებმა რაიონში პირველებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საიუბილეო წლის ვალდებულებანი. ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 5 ცენტნერი ყურძნისა ჰექტარზე, მათ საშუალოდ მიიღეს 56 ცენტნერი. სიმინდის ჰექტარობრივი მოსავლიანობა 9 ცენტნერით მეტია, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული. დიდი გადჭარბებით შესრულდა ხილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობა ზარდის ვალდებულებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1977 წლის 8 დეკემბერს 65 წლისა გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ხახელმოხვეჭილი პარტიზანი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის გმირი, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს „საქმარმარილოს“ ტრესტის მმართველი

დავით ილიას ძე ბაქრაძე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საბჭოთა კავშირის გმირის დ. ი. ბაქრაძის დაკრძალვისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა მთავრობის კომისია, რომელშიც შედიან ამხანაგები ი. ი. ქედიშვილი (თავმჯდომარე), ვ. ავალიანი, ე. დ. ბერიძე, ნ. ა. ჟვანია, ო. ი. ლოლაშვილი, ვ. ნ. ჯაფარიძე, ო. ლ. ჯიფარიძე.

დ. ი. ბაქრაძის დაკრძალვის ხარჯებს ახელმწიფო გაიღებს.

ჩვენს ღიად საბჭოებლოში

უკრაინის სს რესპუბლიკის დედაქალაქი კიევი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ხსოვნის აღსანიშნავი მონუმენტი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის სახელობის მოედანზე დაიდგა. მონუმენტის ავტორები — მოქანდაკეები სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ვ. ბოროდაი, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ზნობა და ი. ზნობა. პროექტის მთავარი არქიტექტორი — ა. კომაროვსკი, არქიტექტორები — ა. მალინოვსკი და ნ. სკობისკი.

ა. პოდდუბნის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

კრასნაია პრესნიაზე

მოსკოვი. (საკდესი). თავისი რევოლუციური ტრადიციებით გამოჩენილი მშრომელი კრასნაია პრესნია 8 დეკემბერს მოსკოველ მწერლებს მასპინძლობდა. 120-ზე მეტი პროზაიკოსი, პოეტი და დრამატურგი მონაწილეობდა საბჭოთა ლიტერატურის დღეებში, რომლებიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

შეხვედრის მონაწილეებმა ყვავილები შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი პრესნიაზე. ისინი იყვნენ რევოლუციის ისტორიის მუზეუმ „კრასნაია პრესნიაში“, ეწვივნენ რაიონის უდიდეს საწარმოებს, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სასწავლებლებს, შეხვდნენ მკითხველებს ბიბლიოთეკებსა და კლუბებში. წარმოების საუკეთესო მუშაკებმა ლიტერატორებს უამბეს, თუ რა მიღწევები აქვთ მათ კოლექტივებს, რომლებიც ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში დევიზით „საიუბილეო წელს — დამკვრელური ფინიში!“. სტუმრებმა შეკრებილთ გაუზიარეს შემოქმედებითი გეგმები, წაუკითხეს ნაწყვეტები ახალი ნაწარმოებებიდან.

— დედაქალაქის მწერლები უკვე იყვნენ ბაბის მშენებლებთან, საბოტლორის მენავთობეებთან, — თქვა მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის პირველმა მდივანმა თ. თ. კუზნეცოვმა. — ახლა ჩვენ გადავწყვიტეთ ესტუმრებოდით ყველაზე ახლო მეგობრებს — კრასნო პრესნიელებს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს მეგობრული შეხვედრები აუცილებელია ჩვენთვის, ლიტერატორებისათვის.

მოსკოველმა მწერლებმა გადაწყვიტეს ეს კარგი ტრადიცია დამკვიდრონ. ასეთი შეხვედრები დედაქალაქის ყველა რაიონში გაიმართება.

მაღალი ჯილდო

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა **სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოება** დაჯილდოვა **შრომის წითელი დროშის ორდენით.** (საკდესი).

ახალი ამბები

◆ ნიქნი ტაგილში ჩვენს ქვეყანაში პირველი უნივერსალური საოჯახ დგანის ასამუშავებელ კომპლექსზე, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიულ კომბინატში შენდება, მიიღეს სვერდლოვსკის ქარხანა „ურალმაშის“ მარკიანი მოწყობილობების უკანასკნელი პარტიები. მანქანათმშენებლებმა ღირსეულად შეასრულეს გიგანტური დგანის ვადამდე სპეციალიზაციიდ გადაცემის უზრუნველყოფის ვალდებულება.

◆ ელგავის (ლატვიის სსრ) ხაშენი მასალებისა და კონსტრუქციების ქარხანამ სოფლად გაგზავნა პირველი ფიბროლითური ბეტონის პანელები გაუმჯობესებული დაგეგმარების ბინებიანი სახლების ასაგებად. პანელები მოპირკეთებულია მოზაიკური ფილებით, რაც დიდძალ დროს დაზოგავს შენობების გაწყობის დროს.

საამქრის საპრიექტო სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ საწარმო კონსტრუქციებს გამოუშვებს წელიწადში 1.200 სამოთახიანი ბინების დასამონტაჟებლად. (საკდესი).



დაჯამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი

საქმეურნეო წარმატებებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა

დისციპლინის სტატისტიკა

რეპორტაჟი პარტიის საქალაქო კომიტეტის საინფორმაციო ცენტრიდან

ყველა ცნობა უკვე მზად არის, ერთიანი ცხრილის ყველა გრაფა შევსებულია, ზოგიერთი ციფრი წითელი ფანქრით არის შემოხაზული... ჩქარობს შტატგარეშე ინსტრუქტორი, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიის ოპერატიული ჯგუფის წევრი ციალა ხმელიძე, ამავე ჯგუფის ხელმძღვანელს, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოადგილეს იური მუმლაძეს დროულად უნდა წარუდგინოს მასალები. ამ ცხრილში კარგად ჩანს, ვინ ჩამორჩა, წინ ვინ მიდის, ვის რა უჭირს.

აქ ასეა ყოველდღე. თითოეული საწარმოდან ოპერატიულად იღებენ მასალებს შემდეგ მონაცემებზე: მთლიანი პროდუქციის გამოშვების დაგალების შესრულება, პროდუქციის რეალიზაცია, გადატვირთვა და უხარისხო პროდუქციის გამო მიღებული რეკლამაციები.

წინათ ეს ოპერაცია ცოტა არ იყოს ჭირდა. მას ტელეფონით ან საწარმოს ეკონომიკური სამსახურის რომელიმე მუშაკის ხელით იღებდნენ, ეს კი დიდ დროს მოითხოვდა. ახლა, როცა პარტიის საქალაქო კომიტეტში და ოლქის პირველი ნახევრიდან, როგორც სარკეში, თვეზე თვალწინ ნათლად ისახება წინა დღის მდგომარეობა ცალკეული საწარმოთა მიხედვით.

სახალხო მეურნეობისადმი, კერძოდ კი მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებამ მოითხოვა ასეთი ერთიანი მწყობრი სისტემის შექმნა. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა უკვე 1973 წლიდან დაიწყო ზრდილი ინფორმაციული სამსახურის შექმნა-ჩამოყალიბებისა და მისი მუშაობის სრულყოფისათვის. მოგეხსენებათ, როგორი იყო მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელს მდგომარეობა მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობისა და კერძოდ ქუთაისის მრეწველობაშიც. დრო არ ითმენდა, ორსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები სწრაფად გამოსწორებას მოითხოვდა.

და აი ჯერ კიდევ მაშინ შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისია პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ხელმძღვანელობით. დროის მოთხოვნამ დღის წესრიგში დააყენა სოციალისტური შეჯიბრების ყოველდღიური შედეგების შეჯამების აუცილებლობა. პარტიულ ხელმძღვანელობაში ლენინური სტილისა და მეთოდების დანერგვა, სიახლეების გამოყენება 1973 წლის შედეგებითაც აისახა. შემდგომ ეს მუშაობა კიდევ უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა, თანდათან დაიხვეწა და შეიესო ახალი ფორმებით და მეთოდებით.

ამჟამად სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიის, რომელშიც შედიან მოწინავე საწარმოთა ხელმძღვანელები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ნოვატორი მუშები და მოსამსახურეები — სულ 30 კაცი, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. რუხაძე ხელმძღვანელობს. მისი მოადგილეა საყოველთაოდ ცნობილი ავტომუშებების, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ვაშაკიძე. თვით ამ კომისიაში შექმნილია ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოადგილე ი. მუმლაძე ხელმძღვანელობს.

როგორც ცნობილია, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების — დისციპლინის განტკიცებისათვის გაშლილ მოძრაობაში თვისობრივად ახალი ინიციატივა გახლდათ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შრომითი კოლექტივის მიერ წამოყენებული დევიზი: „სოციალისტური დისციპლინის განტკიცებას, — მუშური გარანტია“, „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენ გვერდით!“

ამ ინიციატივის ლოგიკური გაგრძელება იყო თბილისის პირველი მაისის რაიონისა და ქუთაისის მშრომელთა ახალი ინიციატივა, რომელიც დიდი ოქტომბრის საიუბილეო წლის დასაწყისში დაიწყო. მისი მიზანი კი ყველასათვის ნათელია — არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო ჩვენს რიგებში, ყოველი თვის დაგალება — მხოლოდ გადაჭარბებით.

ქუთაისელ მშრომელთა ამ ინიციატივის თავისი საფოფლები ჰქონდა. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ყოველდღიური შეჯამების პრაქტიკის დანერგვით შარშან ქალაქის 43 საწარმოდან წლის ბოლოს მხოლოდ ერთი საწარმო იყო ჩამორჩენილი. ცალკეული თვეების მიხედვით კი მდგომარეობა ასეთ სურათს იძლეოდა: იანვარში ჩამორჩა სამი საწარმო, თებერვალში — 1, მარტში — 3, აპრილში — 1, მაისში — 2, ივნისში — 2, ივლისში — არცერთი, აგვისტოში — 1, სექტემბერში — 1, ოქტომბერში — 1, ნოემბერში — 3, დეკემბერში — 1.

და აი საიუბილეო წელს. საქალაქო კომისია, მისი ოპერატიული ჯგუფი მშრომელთა კოლექტივების ინიციატივისა და შემოქმედებითი შრომის გაძლიერების საფუძველზე თვის საქმიანობას შეუდგა იმ ვარაუდით, რომ ყველა საწარმოს წლის ყოველ თვეში მიეღწია საწარმოო დავალებების უფლო შესრულებისათვის. და ეს მიზანი მიღწეულია. წლეულს ყველა საწარმო გამართულად მუშაობს, მიმდინარე წლის ათ თვეში გეგმის გადამეტებით წარმოებულია 17 მილიონ 300 ათასი მანეთის პროდუქცია, წლიური ვალდებულება კი მხოლოდ 15 მილიონ მანეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებდა.

აი ერთი მაგალითი სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის კომისიის მუშაობის პრაქტიკიდან: როგორც ზემოთ აღინიშნა, ოპერატიული ჯგუფი აანალიზებს სამრეწველო საწარმოთა ყოველდღიურ საქმიანობას, საჯაროდ ხდის ამ მასალებს, ოპერატიულად ახორციელებს ღონისძიებებს ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის. მაგალითად, ელექტრომექანიკური ქარხნის მუშაობა წლის ბოლო თვეებში ერთგვაროვან შეფერხდა სხვადასხვა მასალით ცუდი მომარაგების გამო. ოპერატიულმა ჯგუფმა განგაში ატეხა. ისინი დაუკავშირდნენ ხელმძღვანელ ორგანოებს, მიმწოდებელ ორგანიზაციებს და ქარხნის დირექციის ხელსაყრელი პირობები შეიქმნეს ჩამორჩენისათვის თავის დასაღწევად. ზაფხულის თვეებში გაძნელდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა, წარმოებული პროდუქციის გადატვირთვისათვის არ ჰყოფნიდათ კონტეინერები. ოპერატიულმა ჯგუფმა აქაც ისახელა თავი.

ერთი სიტყვით, რომელი ერთი მაგალითი ჩამოვთვალოთ; მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ **საქალაქო კომისია, მისი ოპერატიული ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ წარმოების შიდა რეზერვების გამონახვასა და ამოქმედებას. ერთი ასეთი რეზერვი შრომის და საწარმოო დისციპლინა.** ლეთოფონის ქარხანაში, მაგალითად, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 116 კაცდღით შემცირდა სამუშაო დროის არასაპატიო მიზეზით გაცდენა, აგვისტს თებერვალი — 1.100 კაცდღით და ა. შ. თანდათან მცირდება არასაწარმოო ხარჯები, მნიშვნელოვნად იზრდება შრომის ნაყოფიერება.

ოპერატიული ჯგუფის მონაცემებს ჩამორჩენილ საწარმოთა სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელებთან ერთად თვის ყოველ დეკადაში განიხილავს საქალაქო კომისია და სახალხო ღონისძიებებს ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, აჯამებენ ყოველი თვის შედეგებს, ხოლო კვარტალის ბოლოს ახდენენ საწარმოთა მუშაობის დაწერილებითს ანალიზს.

სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები გადაეკეთა იდეოლოგიური ხელმძღვანელობის სამსახურესა და დაწესებულებებს, ისინი, ამის კვალობაზე, თვის მხრივ სახავენ ღონისძიებებს მთელი მასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით იქ, სადაც ამის საჭიროება ეუცილებლობით არის ნაკარნახევი.

აღგილებზე, სამრეწველო საწარმოთა პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებში პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობის ამ სტილს და მეთოდებს ფართოდ იყენებენ, უკლებლივ ყველა საწარმოში მოქმედებს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისია, ყოველდღიურად აჯამებენ შედეგებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სამეურნეო წარმატებების მოპოვებაში იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას.

მესამე წელია, რაც აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს მეორე საქსოვი საამქროს ცალს პარტორგანიზაციასთან შეიქმნა პოლიტიკური სკოლა — „სოციალიზმი და შრომა“ ანალიზდა კომუნისტი ლაბორატორი მადონა ბახტაძე ხელმძღვანელობს. ამ სკოლის ყოველი მეცადინეობა მომდინარეობს დიდი ლენინის **„სამეურნეო წარმატებებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა“.** აქ თეორიული სწავლება ფართოდ არის დაკავშირებული საწარმოო ცხოვრების კონკრეტულ ამოცანებთან. ამ დღეებში გამართულ მეცადინეობაზე მსმენელებმა მოიწვიეს თავიანთი თანამოსაქმე, საწარმოს მოწინავე მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **იზოლდა ბუაჩიძე.** მან დამსწრეთ შთამაგონებლად გააცნო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის შედეგები. სკოლის მსმენელებმა ვალდებულება იკისრეს მოსკოვის მოწინავე საწარმოთა შრომითი კოლექტივების მაგალითისამებრ მეათე ხუთწლედის სამი წლის დავალება გაანაღდონ 1978 წლის 7 ოქტომბერს, ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავისათვის.

ამას წინათ ავეჯის ფაბრიკის პირველად პარტიულ ორგანიზაციაში გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ნათლად და კონკრეტულად გამოიკვეთა აზრი, რომ სამეურნეო წარმატება ხანმოკლე და მოჩვენებითია, თუ იგი განმკეცებული არ არის იდეოლოგიური საქმიანობით. ზოგიერთი საამქრო, მათ შორის საგამომჭრელო, დამამუშავებელი და საამწყობო საამქროები ცალკეულ თვეებში ჩამორჩებიან სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში. ეს ჩამორჩენა ამის ბრალიც არის, რომ საამქროს პირველად პარტიულ ორგანიზაციებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას იდეოლოგიური მუშაობა — პოლიტიკური სწავლება, მასობრივ-აღმზრდელობითი საქმიანობა. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმის აუცილებლობაზე, რომ ქალაქის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში კიდევ უფრო გაძლიერდეს იდეოლოგიური მუშაობა სამეურნეო წარმატებების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

დ. გედეონიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სემინარი ახლადარჩეული მდივნებისათვის

თბილისი. („კომუნისტის კორ.“). საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაკომმა ამ დღეებში პარტიული ორგანიზაციების ახლადარჩეული დივნებისათვის მოაწყო სემინარი.

პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ რ. მოსეშვილმა, პარტიული საქმის წარმოების თაობაზე მსმენელებს ესაუბრა პარტიის რაიკომთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე დ. ფარულავა, ხოლო მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სტრუქტურისა და ორგანიზაციის ზოგიერთ საკითხზე — პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე შ. წინწკალაძე.

ფინიშზე ყოველი დღე დამკვრელურია

გათუმი, 8 დეკემბერი. (საქინფორმის კორ.). აქ გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა აჭარის მრეწველობის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების თერთმეტი თვის გეგმის შესრულების შედეგები და საიუბილეო წლის წარმატებით დამთავრების ამოცანები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიული კომიტეტის მდივნები, სამინისტროების, უწყებების, აჭარის ასს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების წარმომადგენლები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

თათბირის გახსნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

მომხსენებელმა — პარტიის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგემ ო. მარგალითაძემ და კამათის მონაწილეებმა აღინიშნეს, რომ აჭარის მრეწველობის მშრომელები მნიშვნელოვანი წარმატებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს. თერთმეტ თვეში გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 8.167 ათასი მანეთის პროდუქცია და რეალიზებულია შვიდი მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

მაგრამ, როგორც თათბირზე აღინიშნა, ზოგიერთმა საწარმომ საგეგმო დავალებათა დიდი ნაწილი წლის ბოლოსათვის გადაიტანა. ბათუმის ხორცკომბინატსა და თეფსაჩირი ფლოტის აჭარის სამმართველოს არ შეუსრულებიათ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის თერთმეტი თვის გეგმა. თეფსაჩირის სამრეწველო საწარმომ თუმცა შეასრულა დავალებები, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შეამცირა წარმოების მოცულობა.

თათბირზე აღინიშნა, რომ აუცილებელია სიუბილეო წლის უკანასკნელი თვის ყოველი დღის მაქსიმალურად გამოყენება, დამკვრელური შრომა.

განისაზღვრა საიუბილეო წლის წარმატებით დამთავრების უზრუნველყოფის **კონკრეტული ღონისძიებები.**

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ჩხეიძემ.

საქართველოს ჟურნალისტთა საგრძოლო ამოცანები

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნომ მოაწყო გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ შემოქმედებითი სექციებისა და განყოფილებათა ბიუროების თავმჯდომარეები.

ინფორმაცია „საქართველოს ჟურნალისტთა ამოცანები 14 ნოემბრის „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატიის „გარდაქმნების პროზაში“ შესაბამისად, გააკეთა რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ენუქიძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა ს. ხელაძემ, პარტიულ თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტთა სექციის თავმჯდომარემ ა. ზურაშვილმა, აჭარის ასს რესპუბლიკის და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირების ბიუროების თავმჯდომარეებმა შ. ქურციმე და ს. კვიციანმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ქუთაისის საარაინთაშორისო განყოფილების ბიუროს თავმჯდომარემ გ. მეფისაშვილმა და სხვებმა.

დამტკიცდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მუშაობის გეგმა.

მომავალი წლის იანვარში ბიჭვინთის ჟურნალისტთა სახლში გაიმართება იმ ჟურნალისტთა სემინარი, რომლებიც ამუშავებენ პარტიული ცხოვრებისა და სახალხო მეურნეობის ეკონომიკის თემებს. ამ შეხვედრის თემაა „ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდა გმირი“. სემინარის მონაწილეებს ადა და სერიოზული საუბარი ექნებათ უკანასკნელ წლებში საქართველოში მომხდარ ცვლილებებზე, ახალი ადამიანის აღზრდის პრობლემებზე.

გადაწყდა აგრეთვე მოეწყოს რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გაფართოებული პლენუმი, რომელზეც ჟურნალისტები განიხილავენ სტატიას „გარდაქმნების პროზაში“ და დასაბამივე მისი დებულებების განხორციელების კონკრეტულ გზებს.

დასახულია მოეწყოს ხემინარი თემაზე: „რუსთაველი მეტალურგების თაოსნობა — „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენ გვერდით!“ და მისი პროპაგანდა რესპუბლიკურ პრესაში“, შეხვედრები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკებთან, და სხვა ღონისძიებანი. (საქინფორმი).

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

როცა დრო ძვირად ფასობს



რატომ ჩამორჩებიან მოიჯარადრე ორგანიზაციები?

ენგურის უნიკალური მიდროელექტროსადგურის მშენებლები და მემონტაჟეები პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან — 1978 წლის ბოლოს საეკსპლოატაციოდ უნდა გადასცენ ძირითადი სადგურის 3 აგრეგატი. ამიტომ მშენებლობის ყველა უბანზე შრომის მაღალი ტემპია აღებული. ნაკლები ვალდებულების დროული შესრულებისათვის სამმართველოები, მოიჯარადრე ორგანიზაციები, უბნები, ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებიან და კარგ შედეგსაც აღწევენ.

ენგურჰესის მშენებლობის სამმართველომ ხაიუბილეო წლის იანვარ-ნოემბრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ზოგერთმა უბანმა, ბრიგადებმა და ცალკეულმა მემონტაჟეებმა კი წლიური გეგმა გაანაღდეს და ახალი წლის ანგარიშში მუშაობენ. მაგრამ საერთო წარმატებებში ჩრდილოვანი მხარეებიც შეიმჩნევა. საქმე ის არის, რომ ზოგიერთი მოიჯარადრე ორგანიზაცია აღებულ ტემპს ჩამორჩა.

ავიღოთ თუნდაც გვირაბმშენის სამმართველო (უფროსი ხ. ზელია). განვლილ 11 თვეში სამმართველოს უნდა შეეხრულებინა 6 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაობა. საკუთარი ძალებით სამმართველომ 2 მილიონ 200 ათასი მანეთის ნაცვლად 2 მილიონ 255 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა, რაც გეგმის 102 პროცენტს უდრის. ეს მაჩვენებელი ურიგო როდია, მაგრამ მიღწევები მეტი იქნებოდა, მოიჯარადრე ორგანიზაციები უფრო ქმედითად რომ მუშაობდნენ. მაგალითად, „ჰიდროსპეცმშენის“ სამმართველომ (უფროსი ს. ბარათიკი) 11 თვის გეგმა მხოლოდ 77, ხოლო „სპეციჰიდროელექტრომონტაჟის“ ტრესტის ენგურის სამონტაჟო უბანმა (უფროსი ე. რასკოვი) — 82 პროცენტით შეასრულა. საქმე ის არის, რომ ერიწყლისა და მდინარე ოლორის ხიდური გადასასვლელი უბნების დასამთავრებელად მესამე კვარტალის ბოლოს მემონტაჟეებს ჩერკეის სამონტაჟო უბნიდან 300 ტონა ლითონკონსტრუქციები უნდა მიეღოთ, რაც დღემდე არ შესრულებულა.

ჩამორჩენა მარტო ამის ბრალი როდია. „ჰიდროსპეცმშენის“ სამმართველოს დღემდე არ ყოფნის მუშახელი, განსაკუთრებით კი ავტოკრანები აკლიათ მბურღავები, ზეინკლები, ელექტრომონტიორები, ხოლო „სპეციჰიდროელექტრომონტაჟის“ ენგურის უბანს — გაზელექტროშემდუღებლები.

თერთმეტი თვის გეგმის შესრულების მიხედვით ჩამორჩენილთა რიგებშია გვირაბმშენის სამმართველოს მესამე უბანი. აქ ჩამორჩენის სხვა მიზეზებთან ერთად შრომის ორგანიზაციაც მოიკოჭლებს.

ცნობილია, რომ ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის მშენებლობა-ხათვის რუსთავის ცემენტის კოლექტივი ამზადებს მაღალი ხარისხის ცემენტს, რომელსაც სპეციალური ბუნკერ-ვაგონებით გზავნიან. სამწუხაროდ, ცემენტში დიდი რაოდენობით არის შერეული სხვადასხვა მინარევი, მათ შორის ლითონის ბურთულები, რომლებსაც ცემენტის მიწისქვეშა ბუნკერებიდან სასილოსეებში გადატუმბვის დროს მწყობრიდან გამოჰყავს ძნელადსაშოვი და ძვირადღირებული ამწე-სპირალები.

პირველი ხანებში ენგურჰესელთა სამართლიანი გულისტკივილი უარად იღეს რუსთაველმა მეცემენტეებმა. დაიწყეს ცემენტის ტრანსპორტირება ტექნიკური პირობების დარღვევით. ბოლო ორი თვის განმავლობაში მდგომარეობა კვლავ გაუარესდა. ეს მათ ძრწოლად აცნობეს, მაგრამ ამაოდ. უბარისხო ცემენტით დატვირთული ვაგონების გადმოტვირთვა ბოიკოტდებოდა. ამ მიზეზით მომდინარე წლის პირველ ნახევარში რკინიგზის ვაგონების მოცდენისათვის ჯარიმამ 16 ათას მანეთს მიაღწია, ხოლო ნოემბერში 400 მანეთს. ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ რუსთაველმა მეცემენტეებმა.

მაგალითისათვის ეს ფაქტიც კმარა: 25 ნოემბერს რუსთავიდან ენგურჰესელებმა მიიღეს 66 ტონა (ვაგონი № 9339395, სატრანსპორტო ზედნადები № 932902) ცემენტი, რომელიც სხვადასხვა მინარევით ძლიერ დანაგვიანებული იყო (20-25 მილიმეტრი დიამეტრის ლითონის ბურთულები და 40 მილიმეტრი სიგრძის წიდის ნარჩენები). ამიტომ ვაგონის დაცლა შეჩერებულ იქნა. ამის თაობაზე შეიქმნა სათანადო აქტი; ეს აცნობეს რუსთავის ცემენტის ქარხნის დირექციას, რომ თავისი წარმომადგენელი გამოეგზავნა, მაგრამ მან დუმილით არჩია. ეს მაშინ, როცა ენგურჰესის კოლექტივის წარმომადგენლებთან თითოეულ ხაფანგზე ერთი ადამიანი ზეშეფლობა აქვს. დეკემბრის რუსთავის ცემენტის ქარხნის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის მიუხედავად შემოაღწიშნული ცემენტის ვაგონი დაცლილი იქნა. განმეორებით შედგა აქტი, რომელიც გადაეგზავნა ქალაქების — რუსთავის, ზუგდიდის. ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს სახალხო კონტროლის ორგანოებს, აგრეთვე რუსთავის ცემენტის ქარხნის დირექციას ზომების მისაღებად.

ამ დღეებში ენგურის გადახიდვასთან დაკავშირებით გიმბარის ენგურჰესის მშენებლობის ხაზარმოთა ოპერატიული თათბირი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ამხ. გ. კოლბინი. თათბირზე მკაცრად გაკკრიტიკეს ქუთაისის სახელთსაშენებელი კომბინატის კოლექტივი (დირექტორი რ. ბეფუაშვილი) ენგურჰესელებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნელი ტემპის გამო. თუ ბინამშენებლებმა მკვეთრად არ შეცვალეს თავიანთი მუშაობა და საგრძნობლად არ გაზარდეს შრომის ტემპი, როგორც ეს აღინიშნა თათბირზე, მაშინ იმ ვადებსათვის, ახლა რომ ვარაუდობენ ქუთაისელი ბინათმშენებლები, ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის მშენებლობა უკვე დამთავრებული იქნება და ეს მშენებარე საცხოვრებელი სახლები მშენებლებს აღარ დასჭირდებათ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ აქედან საჭირო დასკვნა უნდა გამოიტანოს.

გ. ნოდია,
ო. არობელიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
დავა ჯავარი.

ნარგავების გაშენების ერთთვიური იწყება

იხაროს ნერგმა

რესპუბლიკის ზემდგომმა ორგანოებმა შეიმოწმეს და წარმატებით ხორცესდგება ჩაის, ყურძნის, ციტრუსის, ხილის და სხვა კულტურების წარმოების გადიდების კონკრეტული პროგრამა.

ამ პროგრამის ხორცშესხმის ერთ-ერთი კონკრეტული ღონისძიებაა მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ერთთვიური, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში 15 ნოემბრის დაიწყო და 15 დეკემბრამდე გასტანს.

სიღნაღის, თელავის, მცხეთის, გორჯაანის, ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ორგანიზებულად მიმდინარეობს ვაზის ჩაყრა. ვენახის გაშენების საქმეში თავი გამოიჩინეს მცხეთის რაიონის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა. მათ ვაზი 20 ჰექტარზე გააშენეს და ბევრაც შეასრულეს.

ციტრუსოვანთა ნარგავების გაშენების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს ხობის, ზუგდიდის, ანაზაურის ასს რესპუბლიკამ.

ერთთვიური თითქმის იწურება, სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი მონაცემებით კი ნარგავების გაშენება ნელი ტემპით მიმდინარეობს ჩხოროწყუს, სამტრედიის, ხაშურის, თეთრწყაროს, ახმეტის რაიონებში, საბრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

მეცხოველეობის კომპლექსი

მთავრდება მარნეულის რაიონის მუღანლოს სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის მერძევეობის დიდი კომპლექსის ჯიშიანი პირუტყვით დაკომპლექტება.

კომპლექსი განკუთვნილია 1200 სული პირუტყვის შესანახად, რომლებიც მოთავსდება სამ ფერმაში. აქ მექანიზებული და ავტომატიზებულია საკვების ჩამორიგება, პირუტყვის წყალი, ნაკელის გატანა და სხვა შრომატევადი პროცესები.

სურათებზე: მუღანლოს სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის მერძევეობის კომპლექსის საერთო ხედი; კომპლექსის უფროსი რ. ჭოტაა, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ნ. ხინკიაშვილი და ბრიგადირი ქ. იუსუპოვი ერთერთ ფერმაში.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოკორესპ.).

მეცხოველეობა—ინდუსტრიულ საფუძველზე!

არ აშენდა

ხელვაჩაურის რაიონში, ნაითაც გაიხედავთ. ციტრუსის ბაღები და ჩაის პლანტაციებია გადაშლილი, სიდანაც მშრომელებს სარეკორდო მოსავალი მოჰყავთ. საძოვრის ან სათიბს თითქმის ვერსად ნახავთ. მიუხედავად ამისა ხელვაჩაურელებმა ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი XVIII პლენუმის შემდეგ, მეცხოველეობაში ვარდაცტეხას მიაღწიეს, მახო, ერგეკი, ახალსოფლის კოლმეურნეობებში, მერძეობის საბჭოთა მეურნეობასა და სხვა ხაზოგადოებრივ მეურნეობებში თითოეულ ძროხაზე 3.000 ლიტრამდე რძე მიიღეს. თვალს ახარებს კარგად მოვლილი, ცოცხალი „ველის წითელი“ ჯიშის ძროხები. დაფასდა მეცხოველის შრომა, მატერიალური დაინტერესების გზით საკრძნობლად გაიზარდა მათი გამომუშავება. აშენდა ახალი, კეთილმოწყობილი ფერმები, ბეტონით დამონტაჟდა სხვადასხვა სახეობის მანქანები. ბონიში ათასი სულისათვის მოეწყო საუკეთესო ჯიშიანი ძროხა. გამართულად მუშაობს საკვების დამამზადებელი საამქრო. ასეთივე საამქროები ამუშავდა მახოსა და ჩაისუბანში, რომლებიც მეზობელი კოლმეურნეობების ფერმებსაც კი ამარაგებს საკვებით.

მაგრამ რაიონში მეცხოველეობა მთლიანად ინდუსტრიულ საფუძველზე რომ გადავიდეს, გასაკვირველი ჯერ კიდევ ბევრია. საკვირველი ის არის, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია დაზმარების მაგივრად ხელს უშლის მეცხოველეობის ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანის საქმეს.

რაიონის გაერთიანება „ცხოველმრეწვის“ ეზოში ღია ცის ქვეშ ყრია სხვადასხვა ძვირადღირებული მანქანები. ზოგიერთი დეტალ ჟანგიც მოსდებია. ირგვლივ ბალახი წამოზრდილა. აშკარად ჩანს, რომ მანქანები დიდი ხანია მიუტოვებიათ ღვთის ანაბარა. მიზეზი ვიკითხეთ — „ცხოველმრეწვის“ მუშაკებმა ფეხიხსნეს, რომ ეს არის უხეში საკვების დასაქუცმაცებელი „ოკმ“ აგრეგატის ნაწილები, რომლებიც შარშან მოუღიათ. წელიწადზე მეტია გაერთიანებას საკვებდამამზადებელი კომპლექსის ასაშენებლად რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიური სამუშაოებს, ეკონომიკურ ეფექტიანობას, ეს ეს ცოტაა. ეს ეს ცოტაა. ეს ეს ცოტაა.

ტელეტაიპი ბადეოგვცეეს

მსოფლიოს ამბები

10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დღეა

უფლება — იყო მოქალაქე

საბჭოთა ხალხი — ოპტიმისტების საზოგადოებაა, ვინაიდან სულ რამდენიმე ათწლეულში ჩვენ შევქმენით ის სამართლიანი წყობილება, რომელზეც საუკუნეთა განმავლობაში ოცნებობდნენ წარსულის დიდი ჰუმანისტები. უტოპისტთა სწრაფვას სრულყოფილი, ჰარმონიული პიროვნებისადმი არ ჰქონია მატერიალური საფუძველი და ამიტომ მხოლოდ მშვენიერ ლიტონ ფორმულად დარჩა. სოციალისტურ საზოგადოებას ყველა შესაძლებლობა აქვს სამიზნოდ, რომ უზრუნველყოს დიადი ჰუმანისტური კატეგორიები, მათი რეალიზაცია ხორციელდება მეცნიერული კომუნიზმის პრინციპებზე, რომელმაც შემოგვიმი გაწვთარება პოვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკაში.

ვალიმ კოჟევნიკოვი,

მწერალი, სოციალისტური შრომის გმირი.

□

კაპიტალის სამყაროში წმიდათა წმიდა ეკრძო საკუთრებაა. ჩვენში წმიდათა წმიდა საზოგადოებრივი საკუთრებაა, რადგან ყოველივე, რასაც საზოგადოება ქმნის, მასვე ეკუთვნის. როცა დასავლეთელი კაცი ბუტყვის: „ჩემი ქარხანა“, „ჩემი ფერმაო“, — მაშასადამე, თქვენ მესაკუთრეს, მფლობელს შეხვედრიხართ, ჩვენი მუშა კი ამბობს: „ჩემი ქარხანა“, „ჩემი ჩარხიო“, და ამ სიტყვებში ოგრძნობა მისი პასუხისმგებლობა თავისი უფლება-მოვალეობისათვის საერთოს, სახალხოს წინაშე. ამიტომაა, რომ ჩვენში ადამიანის ღირსებას მისი შრომა განსაზღვრავს.

მხოლოდ შენი ნიჭით, შრომისადმი დამოკიდებულებით შეგიძლია გახდე პიროვნება, დაიკავო ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე მაღალი, პოსტი. ჩვენში არიან ერთნაირად განთქმული მეშახტეები და მწერლები, ცნობილი მემანდვრეები და მეცნიერები.

მე ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ. ამ ხშირად გვეკითხებიან ხოლმე: ვინ ხართო“? ჩვენ ვუპასუხებთ: მწერალი, მუშა, ან ფიზიკოსი. მაგრამ, მათ თურმე აინტერესებთ არა თქვენი ადგილი საზოგადოებაში, არამედ თქვენი ეროვნება, თითქოს ეს იყოს ადამიანის პიროვნების განმსაზღვრელი.

მე უკვე მესამეჯერ ამერიკეს სსრ კავშირს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად სამარყანდის ოლქისაგან. არავის არ უკვირს, რომ მე, რუსი, ჩვენს პარლამენტში ვწარმომადგენლობ უზბეკეთს უზბეკებთან, სხვა ეროვნების ადამიანებთან ერთად. ჩვენ ყველანი ერთი დედასამშობლოს შვილები ვართ, და ყველანი ერთნი ვართ მის წინაშე. ეს ჩანს უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითითაც. ხალხი, რომელიც ფეოდალური ჩამორჩენილობის პირობებში შეხვდა ოქტომბრის რეოლუციას, სრულად იყენებს მისთვის მინიჭებულ სოციალური გარდაქმნების უფლებას. მშიერი ველისა და ჯიზაკის ველის გადახრუკული მიწები აყვავებულ ბაღნარად გადაიქცა. რესპუბლიკა იწვევს ბამბის რეკორდულ მოსავალს, და ამ გზით მიღებულ შემოსავალს ახმარს სკოლებს, ბიბლიოთეკებს, კინოთეატრებს, შესანიშნავ სახლებს.

მეათე ხუთწლედში ჩვენ 170 მილიარდ მანეთზე მეტს ვაბანდებთ სოფლის მეურნეობის განვითარებას. აი, რა უზარმაზარი თანხა ხმარდება მიწის გარდაქმნას! ამერიკის შეერთებული შტატები მარტო ერთ წელიწადში 130 მილიარდ დოლარს ახმარს შეიარაღებას. სახელმწიფო, რომელსაც თავისი ცივილიზებულობით თავი მოაქვს, მსოფლიოს ნეიტრონულ ბომბს უღერებს და სურს პლანეტა კრემატორიუმად გადაქცეოს, ხოლო ადამიანს წართვას მისი ძირითადი უფლება — სიცოცხლის უფლება.

ამასობაში კი დასავლეთში ერთის ამბით გაჩაღდა პროპაგანდისტული კამპანია „ადამიანის უფლებათა დასაცავად“, რომლებიც თითქოს იღრეკოდეს სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში. გაბოროტებულ ციმლისწამებელთა ყიჟინაში მოისმის ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ცალკეული გარეწრების ხმაც, რომლებიც მზად არიან ჩირქი მოსცხონ თავიანთ ხალხს და თავიანთ სამშობლოს. იქ მათ „დისიდენტებს“, თავისუფლად მოაზროვნეებს“ უწოდებენ. როცა შიგ ქვეყანაში ვერ დაიგულეს დასაყრდენი, ისინი ანტიისაბჭოთა საქმიანობის გზას დაადგნენ და დასავლეთს უხვად ამარაგებენ ყალბი ინფორმაციით. საიდუმლო როდია, რომ მათ „ნაზრევს“ გულუხვად უნაზღაურებენ ვალუტით, აძლევენ სხვა მოწყალებასაც, რაც დიდად არ განსხვავდება იმისაგან თუ როგორ უნაღდებენ ანგარიშს იმპერიალისტური სპეციალური სამსახურები თავიანთ აგენტურას. შემთხვევითი როდია, რომ ასეთი „ინფორმატორები“ ხშირად აშკარად თუ ფარულად იღებენ „ჯამაგირს“ სხვადასხვა სპეცსამსახურებისაგან. საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა მხილებანი და თვითმხილებანი. ამასთან დაკავშირებით კერძოდ, პეტროვის (აგატოვის), ლიპავსკის, ციპინის ადიარება, რომლებმაც გაამჟღავნეს იდეოლოგიური დივერსიების მექანიზმი, გამოაშკარავეს ოკეანისგაღმელ ადამიანის უფლებების ქომაგთა ფარისევლობა. გერეწრებს, ისეთებს, როგორიცაა სისხლის სამართლის დამნაშავე ბუკოვსკი, დასავლეთში მწერლებად, მოაზროვნეებად, ინტელიგენციის წარმომადგენლებად ასაღებენ. თუმცა ამისთვის მათ საკმარისია რაიმე პასკვილი შეთხზონ ან ტყუილები ილაპარაკონ.

ჩვენთვის, საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციისათვის, განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ეს პროვოკაციული, უზნეო კამპანია. მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, ყველა შემოქმედებითი მუშაკის შრომა ჩვენს ქვეყანაში „საერთო პროლეტარული საქმის“ ნაწილი გახდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის X.XV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ლიტერატურისა და ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებებს ეროვნული კუთვნილება უწოდა. ჩვენ შთაგვაგონებს კომუნისტური მშენებლობის იდეები და სამშობლოსა და ხალხის ინტერესებზე უფრო ძვირფასი სხვა არაფერი გვეგულება. საბჭოთა ხელოვნებმა არ იციან, რა არის მეპატრონე — გამომცემლის ჭირვეულობა ან კომერციული ანგარიშის დიქტატი. ჩვენ გვაქვს რეალური ბაზა, რათა განვახორციელოთ კონსტიტუციით დამკვიდრებული შემოქმედების უფლება, ჩანაფიქრის თავისუფალი ხორცშესხმის უფლება. და ჩვენ კარგად გვესმის, თუ რაოდენ დიდია სიტყვის ძალა, ხელოვნების ძალა მსოფლიოს რევოლუციურ გარდაქმნაში. ჩემს მეგობართან და ჩემი ერთ-ერთი რომანის გმირთან ბალუევთან ერთად მე ვიმეორებ: მოძრაობა გრძელდება, და ყოველი ადამიანი პოოულის თავის ადგილს კომუნიზმისაკენ ამ დიადი წინსვლის ახალ ეტაპზე. (საკვლისი).

ახლო აღმოსავლეთი: რთული ვითარება

● ამზადებენ საიდუმლო შეხვედრას ● ეგვიპტის მბრუნი აქციები

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, რომელიც გამწვავდა ეგვიპტისა და ისრაელის სეპარატული მოქმედების შედეგად, კვლავ რთულია. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ს. ვენსის პრესკონფერენციიდან ჩანს, (ვენსი ამბობს დაიწყოს მოგზაურობა ახლო აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში). ამერიკის ადმინისტრაციაში არიან გარკვეული წრეები, რომლებსაც განზრახული აქვთ ზეგავლენა მოახდინონ ტრიპოლის კონფერენციის მონაწილე არაბულ სახელმწიფოებზე, რათა მათ მხარი დაუჭირონ კიაროს შეხვედრას და ეგვიპტისა და ისრაელის უშუალო კონტაქტებს.

პრესა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ იორდანიის მეფე ჰუსეინი ხანმოკლე ვიზიტად ჩავიდა დამასკოში, სადაც შეხვდა სირიის პრეზიდენტს ასადს. დამასკოს რადიოს ცნობებით, ასადმა იორდანიის მეფეს განუცხადა, რომ „სირია უწინდებურად უარყოფს პოლიტიკური ან დიპლომატიური მოქმედების ყოველგვარ მეთოდს, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებულია სადათის ვიზიტთან. სირია ხაზს უსვამს კაპიტულაციის პოლიტიკისადმი მტკიცე წინააღმდეგობის დიდ მნიშვნელობას“.

დამასკოში გამოაცხადეს, რომ ასადს განზრახული აქვს გაემგზავროს საუდის არაბეთის ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად, ხოლო იორდანიის მეფე ეწვევა კიაროს.

● ამზადებენ საიდუმლო შეხვედრას ● ეგვიპტის მბრუნი აქციები

ამასობაში, ისრაელის გაზეთ „ჯერუსალემ პოსტის“ ცნობით, ეგვიპტის დედაქალაქში ნიადაგს ამზადებენ პრეზიდენტ სადათისა და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრ დაიანის საიდუმლო შეხვედრის მოსაყოფად. ამასთან დაკავშირებით მიაპყრობენ ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბეგინის პრესკონფერენციას ლონდონში, სადაც მან განაცხადა, რომ მზად არის წელი მოაწერის სეპარატულ ხელშეკრულებას სადათთან, თუ სადათი შესთავაზებს ასეთი ხელშეკრულების დადებას. მიმდინარე ამბების მიხედვით ბეგინი ისევ ამტკიცებდა, რომ კვლავ წინააღმდეგია ქენვინის კონფერენციისა, როგორც იმ ადგილისა, სადაც უნდა გაადაიჭრას ახლო აღმოსავლეთის პრობლემები დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რომ ამჯობინებს სეპარატულ მოლაპარაკებებსა და გარიგებებს.

ეგვიპტის წრეებში დაეენებით იცავენ იმ აზრს, რომ ახლო აღმოსავლეთის საკითხზე მოლაპარაკების საუძველი უნდა ჩაეყაროს კიაროს შეხვედრაზე. ამასთან პრესა ფართოდ იყენებს ს. ვენსის განცხადებას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს ამჟამად იხმაროს ღონისძიებანი არა ქენევის კონფერენციის მოწვევისათვის, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველყოს კიაროს შეხვედრის ჩატარება. ასეთი პოზიცია სრულიად ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ განცხადებას ახლო აღმოსავლეთის შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ჟენევის კონფერენცია უნდა მოეწყოს ამა წლის ბოლომდე ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

ეგვიპტის პრესის ზოგიერთი ორგანო ცდილობს რა დაფაროს ეგვიპტის სეპარატული მოქმედება, აქვეყნებს საბჭოთა კავშირისადმი მტრულ სტატიებს, ამტკიცებს, თითქოს საბჭოთა კავშირი აბრკოლებდეს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას. ასეთ განცხადებებს თან ახლავს მტრული მოქმედება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების მიმართ. მათ შორის აღსანიშნავია ეგვიპტის მთავრობის განცხადება ალიქსანდრიაში, პორტ-საიდსა და ასუანში საბჭოთა კავშირის საკონსულოების, აგრეთვე ეგვიპტეში საბჭოთა კავშირის კულტურული ცენტრების დახურვის შესახებ. გარდა ამისა, გამოცხადებულია, რომ დაიხურა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსულოები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის კულტურული ცენტრები.

როგორც უნდა ეცდილობდნენ რეაქციული წრეები საბჭოთა კავშირის პოზიციის დამახინჯებას, იგი თანამიმდევრული რჩება. (საკვლისი).

უცხოეთის პრესიდან

თეთრ სახლში ხელი მოაწერეს კანონპროექტს 1978 საფინანსო წელს „ეროვნული უშიშროების პროგრამის“ დასაფინანსებლად, 2.6 მილიარდი დოლარის გამოყოფის შესახებ. ამ პროგრამის ფარგლებში ქმნიან ნეიტრონულ იარაღს — რაკეტებისა და საარტილერიო ჭურვების მუხტებს. (გაზეთებიდან).

ნახატი ყოველკვირეულ „ბორიზონტიდან“. (გდრ).

ავსტრალიის ცხელი ზაფხული

პარლამენტის არჩევნების წინ

ავსტრალიაში ზაფხული დგება. წლეულს იგი, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ცხელი და მშრალი იქნება. წითელი მიწა გამუქდა და დასკდა. ულროოდ გაყვითლდა მწვანედ მოხასხასე საძოვრები, და ცხვრის ფარები უნიათოდ წოწკნიან ვამხმარ ბალახს. ფერმერები, წვიმის იმედი რომ გადაეწურათ, დამშეულ საქონელს ბოლავენ. მკაცრმა გვალვამ ავსტრალიის ერცელი რაიონები მოიცვა.

დაიწყო ტყის ხანძრები, რაც ავსტრალიის მუდმივი მტერია. წელს საფრთხე განსაკუთრებით დიდია, ვინაიდან დენთივით ფეთქდება გამხმარი ეკალაპტის ტყეები. ტყის ეროელი მასივები იწვის კვინსლენდის, ვიქტორიის, სამხრეთ ავსტრალიის შტატებში. ქარი ცაში ავარდნილი კვამლის ქოლებს სიდნეისა და ბრისბენის ქუჩებშიც კი ეროქავა.

შეშფოთებული ხედებიან ავსტრალიელები წლეანდელ ცხელ ზაფხულს, რომელიც ისევე მწველი იქნება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. 1975 წლის ბოლოს ხელისფლებების სათავეში ჩამდგარი ლიბერალურ-აგრარული კოალიცია არ დაელოდა სამწლიანი კონსტიტუციური ვადის გასვლას, დაითხოვა პარლამენტი და 10 დეკემბრისათვის მისი ადამდელი არჩევნები დანიშნა.

შეიძლება ადეს უცნაურადაც მოეჩვენოს, რომ კოალიცია, რომელსაც პარლამენტში მანდატების დიდი უმრავლესობა აქვს, საკუთარი ნებით აწყობს ვადამდელ არჩევნებს. მაგრამ მისი გამართვა დაწესებულ ვადაში, ესე იგი ერთი წლის შემდეგ, როცა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც ვარაუდობენ, საგრძნობლად გართულდება, კოალიციისათვის შეიძლება კიდევ უფრო საშიში აღმოჩნდეს.

არჩევნებისწინა კამპანიამდე მთავრობა ხანგრძლივ პოლიტიკურ მანევრებს მიმართავდა, რათა არჩევნების გასამართავად ხელსაყრელი დრო შეერჩია. საბოლოოდ ლიბერალთა ლიდერი და პრემიერ-მინისტრი მ. ფრეიზერი დეკემბრის დამლეგზე შეჩერდა, როცა ჯერ კიდევ ცნობილი არ იქნება უმუშევრობის თაობაზე ნოემბრის მონაცემები, ხოლო უმუშევართა არმია ჯერ კიდევ არ იქნება შევსებული 120 ათასი ჰაუკითა და ქალოშვილით, რომლებიც სკოლას ანავარში ამთავრებენ.

„როგორც იქნა ფარსი დამთავრდა, — განაცხადა პარლამენტში გამოსვლისას ოპოზიციის ლიდერმა გოფ უიტლემმა. პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც რამდენიმე თვის მანძილზე ქვეყანაში დაძაბულობის ვითარება შექმნა, ბოლოს და ბოლოს, დანიშნა არჩევნები და სწორედ ეს აშკარად მოწმობს მისი პოლიტიკის „კრახს“.

ავსტრალიის შორეულ კონტინენტზე პოლიტიკური ბრძოლა გამწვავდა. ორი ძირითადი ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლებს ლეიბორისტებსა და ლიბერალებს გამუდმებული ბრძოლა აქვთ ამომრჩეველთა ხმებისა და ქვეყნის მთავრობის შედგენის უფლებისათვის. ლიბერალების მხარეზეა ეროვნულ-აგრარული პარტია, რომელიც სოფლის მოსახლეთა ინტერესების გამომხატველია, ლეიბორისტების პოზიციაზე დგანან პროფკავშირები, რომლებიც ყველაზე მეტრძოლურ და მასობრივ ორგანიზაციებად ითვლება და ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზე საკმაო გავლენაც აქვთ. არჩევნებისწინა კამპანია ერთმანეთის მეტოქე პოლიტიკურ ძალებს შორის ცხარე შეტაკებებში გადაიზარდა.

ავსტრალიის კონტინენტი შორს არის მსოფლიოს ამ ცენტრებისაგან, რომლებიც პლანეტის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კლიმატს ქმნიან, მაგრამ ამ ბოლო წლების მანძილზე კაპიტალისტურ სამყაროში მძვინვარე კრიზისის ტალღამ იქამდეც მოაღწია. ავსტრალიისათვის მისი შეიდეგები განსაკუთრებით დამღუპველი აღმოჩნდა, ვინაიდან უცხოეთის კაპიტალს ადამწყვეტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უდიდესი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკაზე. იგი ყველგან აღწევს: უცხოეთის კომპანიები იქ უშვებენ იტომანქანებს, ამუშავებენ და გაქვთ მადანი და ქვანახშირი, ფერმერებისაგან ყიდულობენ საქონელს, მართავენ ბანკებს. უცხოეთის კომპანიებს ეკუთვნით მომპოვებელი მრეწველობის კაპიტალის 65 პროცენტი და საბანაო სექტორის კაპიტალის 50 პროცენტი. ქვეყნის 200 უდიდესი კომპანიიდან, რომლებიც მთელი სამრეწველო პროდუქციის ნახევარს აწარმოებენ, 87-ს უცხოეთის კაპიტალი აკონტროლებს. იყენებს რა ფმ ბერკეტებს, ავსტრალიის ყველაზე ძლიერი და უდიდესი პარტნიორები თავიანთი ეკონომიკური პოტენციალის გადაჭრას მის ხარჯზე ცდილობენ. სწორედ ამის შედეგია ეკონომიკის მდგომარეობის გაუარესება, ინფლაცია, უმუშევრობა, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითება.

ეკონომიკური სიძნელეები წარმოშობს პოლიტიკურ დაძაბულობას, ხალხის თვრთო ფენების უკმაყოფილებას, ძლიერდება საგაფიცო მოძრაობა. მეტრანსპორტეთა, მშენებელთა, კავშირგაბმულობის მუშაკთა ხშირი გაფიცვები, დემონსტრაციები ბრისბენში მოქალაქეობრივ უფლებათა ხელყოფის წინააღმდეგ მოწმობს ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების მასშტაბს და სიმწვავეს.

განსაკუთრებული შეუპოვრობით დამოთვრებული სამთიანი გაფიცვა, რომელიც ვიქტორიის შტატის ელექტროსადგურების მუშებმა მოაწყვეს. ამავე პერიოდის ბოლო კვირაში მელბურნში — შტატის დედაქალაქსა და ქვეყნის უდიდეს სამრეწველო ცენტრში, სადაც 2,5 მილიონი მოსახლეა, გაჩერდა ქარხნები და ფაბრიკები, თითქმის შეწყვიტა მუშაობა საზღვაო ნავსადგურმა, ტრანსპორტმა, დაიხურა თეატრები და ჩაქრა მაღაზიის ვიტრინები. ელექტროენერგიის ნაკლებობის გამო მოიშალა შტატის მთელი სამეურნეო ცხოვრება,“ გაფიცვამ წარმოებას გამოთიშა 500 ათასი ადამიანი . მელბურნი პროფკავშირებსა და მთავრობას შორის კონფერენციის ასპარეზად იქცა. მთავრობამ ამის გამო პარლამენტს სასწრაფოდ მიაღებინა ახალი ანტიმუშური კანონი, რომელიც ზღუდავს პროფკავშირთა უფლებებს. ხელისუფლებამ საგანგებო წესები გამოაცხადა, მაგრამ ვერ გაბედა მისი განხორციელება, ვინაიდან გაფიცულებს მხარი დაუჭირეს სხვა დარგების პროფკავშირებმა.

ეს ეპიზოდი ცხადყოფს, თუ რამდენად მწვავე და შეურიგებელია წინაადმდეგობანი, ავსტრალიის საზოგადოებას დღეს რომ ეორღნს. და აი ახლა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემათა მთელი ეს კომპლექსი ამომრჩეველთა სამსჯავროზეა გამოტანილი.

მაგრამ არჩევნებისწინა ძირითადი, საკვანძო პრობლემა მაინც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაა. ობიექტური მიზეზებით გამოწვეულ სიძნელეებს კიდევ უფრო აღრმავებდა ფრეიზერის მთავრობის პოლიტიკა, რომელსაც ამას წინათ აქ გამართულმა ავსტრალიის პროფკავშირთა კონგრესმა ანტისახალხო და მოსახლეობის შეძლებული ფენების ინტერესების გამომხატველი უწოდა. ავსტრალიის ეკონომიკა უკანასკნელ წლებში მოლიპული გზით მიდიოდა. ინფლაციამ წელიწადში 12-13 პროცენტი შეადგინა, უმუშევართა რიცხვი ბოლო სამ წელიწადში თითქმის ორჯერ გაიზარდა და 370 ათასს მიაღწია. ერთი წლის მანძილზე ორჯერ მოხდა ქვეყნის ვალუტის დევალვაცია — საბოლოო ანგარიშით 17 პროცენტით, გაიზარდა უცხოეთის სესხი. „ყველაფერი უარესდებოდა გარდა ერთისა, — ირონიით წერდა „ტრიბუნი“, — კომპანიების შემოსავალი შარშან 23,5 პროცენტით გაიზარდა“.

ხელისუფლების სათავეში ლიბერალურ-აგრარული კოალიციის ორი წლის ყოფნამ გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი და გააძწვავა სოციალური პრობლემები, განაცხადა ლეიბორისტთა ლიდერმა გოფ უიტლემმა თავის საპროგრამო არჩევნებისწინა სიტყვაში. ახლა ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორც მან თქვა, ასახავს უკანასკნელ ხუთ წელიწადში ეკონომიკის საკვალო მდგომარეობას, ხოლო უმუშევრობა მომავალი წლის დადეგს არნახულ ციფრს — ნახევარ მილიონს მიაღწევს.

სადღეისოდ კანდიდატები სპორტსმენებს ჰგვანან, შეკიბრებისათვის გულდგულ რომ ემზადებიდნენ. ამას წინათ აქ ჩამოსულმა ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა აღნიშნა, ავსტრალიელებს ხშირი არჩევნები დიდ სიამოვნებას ჰგვრის, ვინაიდან დოზე აზარტული თამაში უყვართო. თუმცა თანდათანობით ეს პოლიტიკური ოდიც ბეზრდებათ ავსტრალიელებს, რომლებიც ამ ბოლო ხუთ წელიწადში უკვე მეოთხეჯერ მიდიან საარჩევნო ყუთებთან.

ცხოვრება არ გაიოლდება პარტიებისა და კანდიდატების უხვი და ფუჭი დაპირებებით. ამომრჩეველები სულ უფრო გულგრილნი ხდებიან და ხშირად ამბობენ, რომ მათ მაინც არაფერი ერგებათ იმ ნამცეცებიდან, რომელსაც პოლიტიკური მოღვაწენი ერთმანეთში იყოფენ.

ბ. სიდოროვი,
საკვლისის კორესპონდენტი.

* * *

სურათებზე: ავსტრალიის უდიდესი ქალაქი სიდნეი ქვეყნის სამრეწველო, საფინანსო, სავაჭრო და კულტურული ცენტრია. (მარცხნივ) სიდნეის საქმიანი ნაწილი; (მარჯვნივ) ქალაქის ქუჩებში.





მოკლედ

ყოველი მხრიდან

გაფიცულია ათასობით მემანქანე

● პარიზი. ოთხი დღის გაფიცვა გამოაცხადეს საფრანგეთის რკინიგზელებმა. 42.000 მემანქანე, გამცილებელი და დეპოს მუშა მოითხოვს დასაქმების უზრუნველყოფას და ათი ათასი რკინიგზელის დათხოვნის გაუქმებას. ამ რკინიგზელების დათხოვნა რკინიგზების დირექციამ გამოაცხადა.

ნაციზმის წინააღმდეგ

● ბონი. „მოვითხოვთ დაშალოთ ყოფილ სს-ელთა ორგანიზაციები!“, „არავითარი რეაბილიტაცია ნაციზმს!“ — ასეთი ლოზუნგებით მომავალი წლის აპრილში კელნში გაიმართება საერთაშორისო საპროტესტო მანიფესტაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ. ეს გადაწყვეტილება მიიღეს საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის კელნში გამართულ სხდომაზე.

იქმნება დიდი არხი

● დელი. ინდოეთისა და ბანგლადეშის სპეციალისტებმა შეიმუშავეს დიდი არხის პროექტი, რომელიც შეაერთებს მდინარეებს განგსა და ბრაჰმაპუტრას. იგი საშუალებას მისცემს შექმნან წლის მარაგი ბანგლადეშის დასავლეთი რაიონების მოსარწყავად და გააუმჯობესებს ნავიგაციის პირობებს კალკუტის ნავსადგურის რაიონში. 300 კილომეტრი სიგრძისა და 240 მეტრი სიგანის არხის სათავე იქნება ინდოეთის ასამის შტატში, იგი გაივლის ბანგლადეშისა და ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატის ტერიტორიას განგამდე ფარაკის კაშხლის რაიონში.

ეცხლოური ელექტრიკა

სახლი — საგანძური

ახალგაზრდა ინგლისელებმა მაიკლ და სიუზან რინტმორებმა დიდხანს იფიქრეს, სანამ ისლით დახურულ ერთ პატარა სახლს შეიძენდნენ სუფოლკის საგრაფოს დაბა ბედბრუკში. დიდი მერყეობის შემდეგ მაინც ისესხეს ოთხი ათასი გირვანქა სტერლინგი და იყიდეს 250 წლის წინათ აგებული სახლი. იგი ნაგებია საგანძური აღმოჩნდა. ერთხელ ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა შემთხვევით ქვის იატაკის ერთ-ერთი ფილა ასწიეს და იქ ლითონის ყანგმოკიდებული ყუთი აღმოაჩინეს, რომელშიც 1825-1845 წლებში მოჭრილი 99 ოქროს მონეტა იდო. ნაპოვნის ღირებულებამ ბევრად გადააჭარბა სახლში გადახდილ საფასურს — იგი სპეციალისტებმა მაშინვე ექვსი ათას გირვანქა სტერლინგად შეაფასეს. ამჟამად მონეტებს გულდასმით სწავლობენ ბრიტანეთის მუზეუმში.

სიურპრიზიანი სეიფი

სამმა მძარცველმა, რომლებმაც ნორვეგიის ქალაქ ვანვის ერთ-ერთ საწარმოში სეიფის გატეხა გადაწყვიტეს, დინამიტი იხმარეს. აბა მათ რა იცოდნენ, ჩონ სეიფის ჯავშნიანი კარის უკანაც... დინამიტი იყო დადებული. როგორც კი დინამიტის ცეცხლწაკიდებული ზონარი დაილია, ისეთი აფეთქება მოხდა, რომ კედლები სულ ერთიანად ჩამოინგრა. მძარცველები კიდევ კარგად გადარჩნენ: ორი კანდამწყვარი და კონტუზირებული მძარცველი მიიმალა, მესამე კი საავადმყოფოში ნოათავსეს.

კინოფოტოსურათი

თანამედროვე გმირი ეკრანზე

შენიშვნები, პრობლემები, პერსპექტივები

აღსანიშნავია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარი არსებითი გარდაქმნებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების კვალად კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ცხოვრებაშიც ეფექტური და ხარისხობრივი ძვრებია. ყოველ ახალ დღეს მოაქვს რაღაც მნიშვნელოვანი და საყურადღებო. კიდევ უფრო სახისმარეულია ის, რომ თვითმმყოფელობას აღარ ვიძლევით და სულ უფრო მეტ იდეურ-ესთეტიკური სრულყოფისა და მხატვრული ხარისხის ამაღლებისათვის ვიბრძვით. ამ გზაზე ცხადია მიღწევებთან ერთად გარკვეული სირთულეებთან დაკავშირებული ნაკლოვანებებიც გვახლავს. საწარმოო დისციპლინის გაუმჯობესების, პირადულობასა და თვითკმაყოფილებაზე მაღლა დგომის, ყოველგვარი ინერტულობის დაძლევისათვის ბრძოლის ამ ვითარებაში, ცხადია, ჩვენს აკადემიურ გულახდილი საუბარიც სარგებლობას თუ მოგვიტანს, თორემ ცუდს არაფერს.

თუნდაც შარშანდელი წლის კინოპროდუქცია ფართო შესაძლებლობებს იძლევა ვიმსჯელოთ არა მარტო აწმყოზე, არამედ პრობლემებზე და პერსპექტივებზე. ამჟამად ჩვენ მხოლოდ უშუალოდ ჩვენი თანამედროვეობის ამსახველ ქართულ მხატვრულ ფილმებს მივაპყრობთ ყურადღებას.

მანკიერებათა წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკული ხასიათის ფილმებს განკუთვნება „თვალი პატიოსანი“, რომელიც გ. ფანჯიკიძის ამავე სახელწოდების რომანის ეკრანიზაციას წარმოადგენს (ოპერატორი მ. მედნიკოვი, მხატვარი ვ. არაბიძე, კომპოზიტორი რ. ლაღიძე).

თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების ასახვას მხატვრულ ფილმში ყოველთვის განსაზღვრული დრო სჭირდება, თუნდაც თავისი სპეციფიკური კინემატოგრაფიული თავისებურებების გამო. მხატვრულ ოიტერატურაში ეს შედარებით სწრაფად ხდება ხოლმე. ასე მოხდა ხსენებულ რომანთან დაკავშირებითაც.

შ. მანაგაძეს კარგად ესმოდა ის დიდი სირთულე და პასუხისმგებლობა, რომელიც ამ პოპულარული რომანის ეკრანიზაციასთან იყო დაკავშირებული. პოპულარი სულის რეჟისორისათვის პუბლიცისტური ჟღერადობის ნაწარმოებშიც უხვად აღმოჩნდა „ლირიკული მასალა“ და იგი ჩვეული გატაცებით შეუდგა ფილმის შექმნას. ამ გატაცებამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ განსხორციელდა მართლაც პოეტურად მიმზიდველი ფილმი, მაგრამ მეორე პლანზე გადაიწია რომანის მამხილებლობის პათოსმა.

ფილმში, რა თქმა უნდა, არის უარყოფითი მხარეების მამილებელი მახვილი სცენები, ჯულისტაკილით ვიცნობთ ექსპერიმენტული ფილმების სტუდიის მთავარი რედაქტორის თანამდებობაზე შეიმოსვილი მოხეედრილ უნიჭო მირონ ალავიძეს (მსახიობი ვახტანგ ნინუა), არაკეთილსინდისიერ პროფესორებს — ნიკო ჯაკობაძეს („ზაზა მაჩაბელი), თეიმურაზ თავზიშვილს (შალვა ხერხეულიძე), სწორ გზას აცდენილ მედიას (რუსუდან კიკნაძე), პროკურატურის ზოგიერთ ყალბ მუშაკს და ამა თუ იმ სარფიან ადგილზე მოკლათებულ ნაძირალას, მაგრამ აქიანტი უფრო ლირიკულ ურთიერთობებზეა გადატანილი.

რეჟისორის არჩევანი საკვნებით გამართლა თამაზ იაშვილის როლში ჯერ კიდევ არაპროფესიონალმა ახალგაზრდა მსახიობმა მურმან ჯინორიამ. ამ გონებგაახსნილ და გრძნობიერ „პატიოსან თვალს“ თავისი სულიერი სიწმინდისა და პირდაპირობის მიუხედავად ბავშვური გულუბრყვილობაც ახლავს, ზედმეტად მოკრძალებულია და არ ძალუძს თავისი მეგობრის — ოთარ ნიკურაძის მსგავსად გაუმკლავდეს ბოროტებას. თითქოს ბედმაც ამიტომ არგუნა მასთან მეგობრობა.

ვფიქრობთ, ვახტანგ კიკაბიძის გმირს მაღალი სულიერი და მოქალაქეობრივი თვალსაზრისისთაც ბევრი რამ მოაკლდა, როცა იგი ფილმის ავტორებმა სრულიად „ბაბალეისუფლეს“ პირველწყაროს ნიკურაძის უკურნებელი სენისაგან. ოთარ ნიკურაძის სახით სწორ ინტერპრეტაციას კი თამაზ იაშვილთან ერთად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა...

და მაინც უნდა ითქვას, რომ მთლიანობაში ფილმი სასიამოვნოდ აღიქვა მაყურებელმა და ოპტიმისტურადაც განაწყო ცხოვრებისადმი, რა თქმა უნდა ანა უბრალოდ გმირის ცხოვრებისაგან შემობრუნების ეიდით, არამედ

დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი

საქმეურნეო წარმატებებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა

დისციპლინის სტატისტიკა

რეპორტაჟი პარტიის საქალაქო კომიტეტის საინფორმაციო ცენტრიდან

ყველა ცნობა უკვე მზად არის, ერთიანი ცხრილის ყველა გრაფა შევსებულია, ზოგიერთი ციფრი წითელი ფანქრით არის შემოხაზული... ჩქარობს შტატგარეშე ინსტრუქტორი, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიის ოპერატიული ჯგუფის წევრი ციალა ხმელიძე, ამავე ჯგუფის ხელმძღვანელს, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოადგილეს იური მუმლაძეს დროულად უნდა წარუდგინოს მასალები. ამ ცხრილში კარგად ჩანს, ვინ ჩამორჩა, წინ ვინ მიდის, ვის რა უჭირს.

აქ ასევე ყოველდღე, თითოეული საწარმოდან ოპერატიულად იღებენ მასალებს შემდეგ მონაცემებზე: მთლიანი პროდუქციის გამოშვების დაგალების შესრულება, პროდუქციის რეალიზაცია, გადატვირთვა და უხარისხო პროდუქციის გამო მიღებული რეკლამაციები.

წინათ ეს ოპერაცია ცოტა არ იყოს ჭირდა. მას ტელეფონით ან საწარმოს ეკონომიკური სამსახურის რომელიმე მუშაკის ხელით იღებდნენ, ეს კი დიდ დროს მოითხოვდა. ახლა, როცა პარტიის საქალაქო კომიტეტში და ოლქის პირველი ნახევრიდან, როგორც სარკეში, თვეენ თვალწინ ნათლად ისახება წინა დღის მდგომარეობა ცალკეული საწარმოთა მიხედვით.

სახალხო მეურნეობისადმი, კერძოდ კი მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებამ მოითხოვა ასეთი ერთიანი მწყობრი სისტემის შექმნა. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში უკვე 1973 წლიდან დაიწყო ზრდადი ინფორმაციული სამსახურის შექმნა-ჩამოყალიბება და მისი მუშაობის სრულყოფისათვის. მოგეხსენებათ, როგორი იყო მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელს მდგომარეობა მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობასა და ქუთაისის მრეწველობაშიც. დრო არ ითმენდა, ორსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები სწრაფად გამოსწორებას მოითხოვდა.

და აი ჯერ კიდევ მაშინ შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისია პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ხელმძღვანელობით. დროის მოთხოვნამ დღის წესრიგში დააყენა სოციალისტური შეჯიბრების ყოველდღიური შეფასების შეჯამების აუცილებლობა. პარტიულ ხელმძღვანელობაში ლენინური სტილისა და მეთოდების დანერგვა, სიახლეების გამოყენება 1973 წლის შედეგებითაც აისახა. შემდგომ ეს მუშაობა კიდევ უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა, თანდათან დაიხვეწა და შეიესო ახალი ფორმებით და მეთოდებით.

ამჟამად სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიის, რომელშიც შედიან მოწინავე საწარმოთა ხელმძღვანელები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ნოვატორი მუშები და მოსამსახურეები — სულ 30 კაცი, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. რუხაძე ხელმძღვანელობს. მისი მოადგილეა საყოველთაოდ ცნობილი ავტომშენებელი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ვაშაკიძე. თვით ამ კომისიაში შექმნილია ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოადგილე ი. მუმლაძე ხელმძღვანელობს.

როგორც ცნობილია, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების — დისციპლინის განმტკიცებისათვის გაშლილ მოძრაობაში თვისობრივად ახალი ინიციატივა გახლდათ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შრომითი კოლექტივის მიერ წამოყენებული დევიზი: „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას, — მუშური გარანტია“, „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენ გვერდით!“

ამ ინიციატივის ლოგიკური გაგრძელება იყო თბილისის პირველი მაისის რაიონისა და ქუთაისის შრომელთა ახალი ინიციატივა, რომელიც დიდი ოქტომბრის საიუბილეო წლის დასაწყისში დაიწყო. მისი მიზანი კი ყველასათვის ნათელია — არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო ჩიენს რიგებში, ყოველი თვის დაფაზე — მხოლოდ გადაჭარბებით.

ქუთაისელ მშრომელთა ამ ინიციატივას თავისი საფუძველი ჰქონდა. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ყოველდღიური შეჯამების პრაქტიკის დანერგვით შარშან ქალაქის 43 საწარმოდან წლის ბოლოს მხოლოდ ერთი საწარმო იყო ჩამორჩენილი. ცალკეული თვეების მიხედვით კი მდგომარეობა ასეთ სურათს იძლეოდა: თებერვალში ჩამორჩა სამი საწარმო, თებერვალში — 1, მარტში — 3, აპრილში — 1, მაისში — 2, ივნისში — 2, ივლისში — არცერთი, აგვისტოში — 1, სექტემბერში — 1, ოქტომბერში — 1, ნოემბერში — 3, დეკემბერში — 1.

და აი საიუბილეო წელს საქალაქო კომისია, მისი ოპერატიული ჯგუფი მშრომელთა კოლექტივების ინიციატივისა და შემოქმედებითი შრომის გაძლიერების საფუძველზე თავის საქმიანობას შეიფარგა იმ ვარაუდით, რომ ყველა საწარმოს წლის ყოველ თვეში მიეღწია საწარმოო დავალების უფთო შესრულებისათვის. და ეს მიზანი მიღწეულია. წლეულს ყველა საწარმო გამართულად მუშაობს, მიმდინარე წლის ათ თვეში გეგმის დადამტკიცებით წარმოებულია 17 მილიონ 300 ათასი მანეთის პროდუქცია, ნაწილი ვალდებულება კი მხლოდ 15 მილიონ ექვსეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებდა.

აი ერთი მაგალითი სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის კომისიის მუშაობის პრაქტიკიდან: როგორც ზემოთ აღინიშნა, ოპერატიული ჯგუფი აანალიზებს სამრეწველო საწარმოთა ყოველდღიურ საქმიანობას, საჯაროდ ხდის ამ მასალებს, ოპერატიულად ახორციელებს ღონისძიებებს ჩამორჩენის ლიკვიდაციისთვის. მაგალითად, ელექტრომექანიკური ქარხნის მუშაობა წლის ბოლო თვეებში ერთგვაროვან შეფერხდა სხვადასხვა მასალით ცუდი მომარაგების გამო. ოპერატიულმა ჯგუფმა განგაში აატეხა. ისინი დაუკავშირდნენ ხელმძღვანელ ორგანოებს, მიმწოდებელ ორგანიზაციებს და ქარხნის დირექციის ხელსაყრელი პირობები შეიქმნეს ჩამორჩენისათვის თავის დასაღწევად. ზაფხულის თვეებში გაძნელდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა, წარმოებული პროდუქციის გადატვირთვისათვის არ ჰყოფნიდათ კონტეინერები. ოპერატიულმა ჯგუფმა აქაც ისახელა თავი.

ერთი სიტყვით, რომელი ერთი მაგალითი ჩამოვთვალოთ; მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ **საქალაქო კომისია, მისი ოპერატიული ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ წარმოების შიდა რეზერვების გამონახვასა და ამოქმედებას. ერთი ასეთი რეზერვი შრომის და საწარმოო დისციპლინა.** ლეთოფონის ქარხანაში, მაგალითად, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 116 კაცდღით შემცირდა სამუშაო დროის არასაპატიო მიზეზით გაცდენა, აგვისტს თებერვალი — 1.100 კაცდღით და ა. შ. თანდათან მცირდება არასაწარმოო ხარჯები, მნიშვნელოვნად იზრდება შრომის ნაყოფიერება.

ოპერატიული ჯგუფის მონაცემებს ჩამორჩენილ საწარმოთა სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელებთან ერთად თვის ყოველ დეკადაში განიხილავს საქალაქო კომისია და სახავს ღონისძიებებს ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, აჯამებენ ყოველი თვის შედეგებს, ხოლო კვარტალის ბოლოს ახდენენ საწარმოთა მუშაობის დაწერილებითს ანალიზს.

სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები გადაეკეთა იდეოლოგიური ხელმძღვანელობის სამსახურებსა და დაწესებულებებს, ისინი, ამის კვალობაზე, თავის მხრივ სახავენ ღონისძიებებს მთელი მასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით იქ, სადაც ამის საჭიროება ეუცილებლობით არის ნაკარნახევი.

აღგილებზე, სამრეწველო საწარმოთა პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებში პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობის ამ სტილს და მეთოდებს ფართოდ იყენებენ, უკლებლივ ყველა საწარმოში მოქმედებს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისია, ყოველდღიურად აჯამებენ შედეგებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სამეურნეო წარმატებების მოპოვებაში იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას.

მესამე წელია, რაც აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს მეორე საქსოვი საამქროს ცალს პარტიორგანიზაციასთან შექმნილ პოლიტიკური სკოლას — „სოციალიზმი და შრომა“ ახალგაზრდა კომუნისტი ლაბორანტი მადონა ბაბუაძე ხელმძღვანელობს. ამ სკოლს ყოველი მეცადინეობა მომდინარეობს დეკანოზი — **„სამეურნეო წარმატებებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა“.** აქ თეორიული სწავლება ფართოდ არის დაკავშირებული საწარმოო ცხოვრების კონკრეტულ ამოცანებთან. ამ დღეებში გამართულ მეცადინეობაზე მსმენელებმა მოიწვიეს თავიანთი თანამოსაქმე, საწარმოს მოწინავე მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **იზოლდა ბუაჩიძე.** მან დამსწრეთ შთამბეჭდავი გააკონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის შედეგები. სკოლის მსმენელებმა ვალდებულება იკისრეს მოსკოვის მოწინავე საწარმოთა შრომითი კოლექტივების მაგალითისამებრ მეათე ხუთწლედის სამი წლის დავალება გაანაღდონ 1978 წლის 7 ოქტომბერს, ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთვისისათვის.

